სარჩევი

რა არის ახალი 2

გეგმის შესრულების რეპორტის დეტალური ვარიანტი 2

გასწორებული შეცდომები 3

სხვა მოდიფიკაციები 3

ბალანსის რელიზი_1.3.8.14

15.10.2024

რა არის ახალი

გეგმის შესრულების რეპორტის დეტალური ვარიანტი

გაყიდვების გეგმის შესრულების რეპორტის ვარიანტებში შევხვდებით შესრულების დეტალურ ანგარიშგებასაც, რომელიც გვაძლევს უფრო მეტ ინფორმაციას არსებულ და მოსალოდნელ შესრულებაზე. გაყიდვების გეგმის სამივე ტიპს აქვს შესრულების დეტალური ვარიანტი.



სავაჭრო წარმომადგენელი	სექტემბერი 2024 თანხა						
	გეგმა	საშუალო დღიური გეგმა	ფაქტი	სხვაობა	გეგმის შესრულებისათვის საჭირო დღიური გაყიდვები დარჩენილ დღეებში	პროცენტული შესრულება	ტემპი %
დისტრიბუტორი 1	150.00	7.14	32.00	118.00	14.75	21.33	34.46
დისტრიბუტორი 2	100.00	4.76	28.00	72.00	9	28.00	45.23

დეტალურ ვერსიაში გეგმის, ფაქტობრივი მონაცემისა და პროცენტული შესრულების გარდა გვიჩანს ინფორმაცია, საშუალოდ დღეში რა რაოდენობის ან თანხის გეგმა უნდა შესრულდეს, რომ თვის ბოლოს შესრულდეს გეგმის 100%. (ეს მონაცემი ჩანს „საშუალო დღიურ გეგმაში“)
ასევე გვაქვს მონაცემი გეგმის შესრულებისათვის საჭირო დღიური გაყიდვები, რომელიც გამოითვლება იმ თვის დარჩენილი დღეების პროპორციულად. (ეს მონაცემი ჩანს „გეგმის შესრულებისათვის საჭირო დღიური გაყიდვები დარჩენილ დღეებში“)
გარდა ამისა თვის ნებისმიერ მონაკვეთში შესაძლებელი იქნება დავინახოთ ამ ტემპით გაგრძელებული გაყიდვები თვის ბოლოს გეგმის რამდენ პროცენტიან შესრულებაზე გაგვიყვანს . (ეს მონაცემი ჩანს „ტემპი %“ ის ველში)

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია ბანკიდან ამონაწერის ავტომატური ჩამოტვირთვის ხარვეზები
- გასწორებულია ხელფასის გადახდის დოკუმენტში დავალიანების შევსებისას შეტყობინების გამოტანის ხარვეზი
- გასწორებულია თანხობრივი ფასდაკლების დათვლისას დამრგვალების ხარვეზი
- გასწორებულია პაროლის შეცვლის ხარვეზი როდესაც მომხმარებელზე პაროლი უკვე დადგენილია
- გასწორებულია რეალიზაციის კორექტირებაში პროდუქციის გამოშვება და რეალიზაციის არჩევის ხარვეზი, როდესაც ამ დოკუმენტზე მომხმარებელს არ აქვს წვდომა
- გასწორებულია მყიდველის ჯგუფის ჩაწერის ხარვეზი, როდესაც ბაზაში ჩართულია სავაჭრო წარმომადგენლების მოწყობილობებთან ინტეგრაცია
- გასწორებულია მყიდველის ხელშეკრულების ექსელიდან ჩატვირთვისას დამატებით რეკვიზიტის გადავსების ხარვეზი, როდესაც ექსელის ფორმაში არ არის გამოტანილი ხელშეკრულების ძირითადობის სვეტი

სხვა მოდიფიკაციები

- სავალუტო საშუალებების გადაფასების ასახვა სხვადასხვა ანალიტიკებზე
- მყიდველის ვალის კორექტირების გათვალისწინება ავანსის დღგ-ის დარიცხვის ფორმირებაში
- რაოდენობრივი ძირითადი საშუალებების გადაადგილების ფუნქციონალის დახვეწა